# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-560

02/07/2020 ქ. თბილისი

**თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, შპს „თბილისის ჰესის“ მდინარე მტკვარზე 20,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (თბილისი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, შპს „თბილისის ჰესის“ მდინარე მტკვარზე 20,2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (თბილისი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N59 (24.06.2020წ.);
2. შპს „თბილისის ჰესმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N59 (24.06.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თბილისი ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თბილისი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი